

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №58
2018 წლის 21 დეკემბერი

ქ. გურჯაანი

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №57 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, 27.12.2017 190020020.35.166.016354) შეტანილ იქნეს ცვლილებები:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი „გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი		2017 წლის ფაქტი		2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15,229.0	14,324.3	3,433.1	10,891.3	20469.9	9241.8	11228.1
გადასახადები	3,791.5	4,358.9	0.0	4,358.9	4000.0	0.0	4000.0
გრანტები	10,619.8	8,949.1	3,433.1	5,516.0	15189.1	9241.8	5947.3
სხვა შემოსავლები	817.7	1,016.4	0.0	1,016.4	1280.8	0.0	1280.8
ბარჯები	8,755.1	8,427.4	0.0	8,427.4	10690.9	55.5	10635.4
შრომის ანაზღაურება	1,884.8	1,526.1	0.0	1,526.1	2078.7	0.0	2078.7
საქონელი და მომსახურება	1,483.3	1,077.8	0.0	1,077.8	1682.4	55.5	1626.9



ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	195.2	150.2	0.0	150.2	170.1	0.0	170.1
სუბსიდიები	3,923.0	4,513.2	0.0	4,513.2	5558.3	0.0	5558.3
გრანტები	117.4	10.0	0.0	10.0	12.5	0.0	12.5
სოციალური უზრუნველყოფა	1,029.0	936.1	0.0	936.1	1016.5	0.0	1016.5
სხვა ხარჯები	122.3	214.0	0.0	214.0	172.4	0.0	172.4
საოპერაციო სალდო	6,473.9	5,897.0	3,433.1	2,463.9	9779.0	9186.3	592.7
არაფინანსური აქტივების ცვლილება	6,681.1	4,892.5	3,444.4	1,448.1	11141.2	9259.7	1881.5
ზრდა	6,936.5	5,355.9	3,444.4	1,911.5	11741.2	9259.7	2481.5
კლება	255.4	463.4	0.0	463.4	600.0	0.0	600.0
მთლიანი სალდო	-207.2	1,004.5	-11.3	1,015.8	-1362.2	-73.3	-1288.9
ფინანსური აქტივების ცვლილება	-562.4	604.1	-11.3	615.4	-1813.2	-73.3	-1739.9
ზრდა	0.0	615.4	0.0	615.4	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	615.4		615.4	0.0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	562.4	11.3	11.3	0.0	1813.2	73.3	1739.9
ვალუტა და დეპოზიტები	562.4	11.3	11.3		1348.2	73.3	1274.9
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	465.0	0.0	465.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-355.2	-400.4	0.0	-400.4	-451.0	0.0	-451.0
კლება	355.2	400.4	0.0	400.4	451.0	0.0	451.0
საშინაო	355.2	400.4	0.0	400.4	451.0	0.0	451.0



ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000
---------	-------	-------	-------	-------	-------	-------	-------

მუხლი 2. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	15 484,4	14 787,7	3 433,1	11 354,7	21534.9	9241.8	12293.1
შემოსავლები	15 229,0	14 324,3	3 433,1	10 891,3	20469.9	9241.8	11228.1
არაფინანსური აქტივების კლება	255,4	463,4	0,0	463,4	600.0	0.000	600.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	465.0	0.000	465.0
გადასახდელები	16 046,8	14 183,6	3 444,4	10 739,3	22,883.2	9315.2	13568.0
ხარჯები	8 755,1	8 427,4	0,0	8 427,4	10690.9	55.5	10635.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	6 936,5	5 355,9	3 444,4	1 911,5	11741.2	9259.7	2481.5
ვალდებულებების კლება	355,2	400,4	0,0	400,4	451.0	0.0	451.0
ნაშთის ცვლილება	-562,4	604,1	-11,3	615,4	-1348.2	-73.3	-1274.9

მუხლი 3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გეგმით შემოსავლები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 20469.9 ათასი ლარით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
შემოსავლები:	15 229,0	13 876,5	3 526,2	10 350,3	20469.9	9241.8	11228.1
გადასახადები	3 791,5	3 700,1	0,0	3 700,1	4000.0	0.0	4000.0



გრანტები	10 619,8	9 042,2	3 526,2	5 516,0	15189.1	9241.8	5947.3
სხვა შემოსავლები	817,7	1 134,2	0,0	1 134,2	1280.8	0.0	1280.8

მუხლი 4. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გეგმით გადასახადები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გადასახადები 4000,0 ათასი ლარის ოდენობით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018წლის გეგმა
გადასახადები	3 791,5	4358,9	4000,0
საშემოსავლო გადასახადი	1177,1	1257,0	1100,0
ქონების გადასახადი	2 614,4	3101,9	2900,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 266,9	1581,5	1800,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	25,9	43,5	20,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	709,6	817,6	610,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	612,0	659,3	470,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0	0	0

მუხლი 5. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გეგმით გრანტები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გრანტები 15189.1 ათასი ლარით:

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
გრანტები	10619,8	8949,1	15189,1
გათანაბრებითი ტრანსფერი	5770,4	5356,0	5787,3
მიზნობრივი ტრანსფერი დედეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160,0	160,0	160,0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი	4689,4	3433,1	9241,8
მ.შ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0	0	426,8
მ.შ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	3497,7	3433,1	8015,0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამით	1067,3	0	0



	124,4	0	800,0
სხვა მიმდინარე ღონისძიებები - სტიქია			

მუხლი 6. გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გეგმით სხვა შემოსავლები განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 1280.8 ათასი ლარით.

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	817,7	1016,4	1280,8
შემოსავლები საკუთრებიდან	135,4	227,3	150,0
პროცენტი	44,8	66,0	60,0
რენტა	90,6	161,3	90,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებისა და სარგებლობისათვის	75,0	144,1	70,0
შემოსავალი მიწისიჯარიდან დამართვაში (უზუფრუქტი, ქირავენობა და სხვა) გადაცემიდან	15,6	17,1	20,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	87,8	234,8	238,8
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	39,5	191,7	198,8
სანებართო მოსაკრებელი	36,5	24,5	30,0
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0	0	0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	0,8	0,8
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0	161,7	130,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	3,0	4,8	38,0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0	0	0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	48,3	43,1	40,0
ჯარიმები სანქციები და საურავები	540,5	479,0	600,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი	54,0	75,2	292,0

მუხლი 7. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 10690.9 ათასი ლარით

ათას ლარებში

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის	საკუთარი



			ფონდი	შემოსულობები		ფონდი	შემოსულობები
ხარჯები	8 755,1	8 427,4	0,0	8 427,4	10690.9	55.5	10635.4
მრომის ანაზღაურება	1 884,8	1 526,1	0,0	1 526,1	2078.7	0.0	2078.7
საქონელი და მომსახურება	1 483,3	1 077,9	0,0	1 077,9	1682.4	55.5	1626.9
პროცენტი	195,2	150,2	0,0	150,2	170.1	0.0	170.1
სუბსიდიები	3 923,0	4 513,2	0,0	4 513,2	5558.3	0.0	5558.3
გრანტები	117,4	10,0	0,0	10,0	12.5	0.0	12.5
სოციალური უზრუნველყოფა	1 029,0	936,1	0,0	936,1	1016.5	0.0	1016.5
სხვა ხარჯები	122,3	214,0	0,0	214,0	172.4	0.0	172.4

მუხლი 8 გურჯაანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის გეგმით არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 11141.2 ათასი ლარით.

ა) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 11741.2 ათასი ლარით:

ათას ლარებში

კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდი	საკუთარი შემოსულობები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	431,1	118,7	0,0	118,7	168,4	0	168,4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1,0	57,5	0,0	57,5	60,0	0,0	60,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5 447,2	5 111,2	3 441,6	1 669,7	11301,8	9212,9	2088,9
04 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	818,8	7,0	2,8	4,2	124,3	46,8	77,5
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	238,3	61,4	0,0	61,4	86,7	0,0	86,7
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0	0	0	0	0

ბ) განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 600.0



ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	255,4	463,4	600,0
ძირითადი აქტივები	78,7	275,0	400,0
არაწარმოებული აქტივები	176,7	188,4	200,0

მუხლი 9. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული ცხრილის შესაბამისად:

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის ბიუჯეტის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,997.9	2,423.6	0.0	2,423.6	3,158.0	0.0	3,158.0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,767.2	2,229.9	0.0	2,229.9	2,940.9	0.0	2,940.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,703.2	2,229.9	0.0	2,229.9	2,850.9	0.0	2,850.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	64.0	0.0	0.0	0.0	90.0	0.0	90.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	195.2	150.2	0.0	150.2	170.1	0.0	170.1
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	35.5	43.5	0.0	43.5	47.0	0.0	47.0
702	თავდაცვა	117.5	111.1	0.0	111.1	140.0	0.0	140.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	57.5	0.0	57.5	55.5	0.0	55.5



7036	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში	0.0	57.5	0.0	57.5	55.5	0.0	55.5
704	ეკონომიკური საქმიანობა	4,192.4	4,040.7	2,998.2	1,042.5	8,670.1	7,127.6	1,542.5
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	305.2	121.9	0.0	121.9	72.5	55.5	17.0
70421	სოფლის მეურნეობა	305.2	121.8	0.0	121.8	71.5	55.5	16.0
70423	მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.2	0.0	0.2	1.0	0.0	1.0
7044	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა	0.0	70.1	0.0	70.1	0.0	0.0	0.0
70443	მშენებლობა	0.0	70.1	0.0	70.1	0.0	0.0	0.0
7045	ტრანსპორტი	3,757.3	3,804.5	2,998.2	806.3	8,233.1	6,801.1	1,432.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3,757.3	3,804.5	2,998.2	806.3	8,233.1	6,801.1	1,432.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	129.9	44.2	0.0	44.2	364.5	271.0	93.5
705	გარემოს დაცვა	851.9	814.2	0.0	814.2	1,080.4	45.4	1,035.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამამუშავება და განადგურება	595.9	653.8	0.0	653.8	839.2	0.0	839.2
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	187.4	96.4	0.0	96.4	196.4	45.4	151.0
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	68.6	64.0	0.0	64.0	44.8	0.0	44.8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,036.3	2,044.5	443.3	1,601.2	4,074.5	2,095.4	1,979.1
7061	ბინათმშენებლობა	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	746.9	698.9	0.0	698.9	1,012.3	0.0	1,012.3
7063	წყალმომარაგება	609.6	847.1	431.2	415.8	2,367.4	2,095.4	272.0
7064	გარე განათება	679.8	496.5	12.1	484.4	674.9	0.0	674.9
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	0.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	88.3	84.7	0.0	84.7	106.0	0.0	106.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	88.3	84.7	0.0	84.7	106.0	0.0	106.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,619.8	1,167.7	0.0	1,167.7	1,814.2	0.0	1,814.2
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	516.0	365.0	0.0	365.0	560.9	0.0	560.9



7082	მომსახურება კულტურის სფეროში	910.0	703.3	0.0	703.3	1,086.7	0.0	1,086.7
7083	ტელურადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	95.6	83.5	0.0	83.5	76.6	0.0	76.6
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	98.2	15.9	0.0	15.9	90.0	0.0	90.0
709	განათლება	2,595.1	1,931.3	2.8	1,928.5	2,094.0	46.8	2,047.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	2,537.0	1,857.8	2.8	1,855.0	2,051.9	46.8	2,005.1
7092	ზოგადი განათლება	13.1	32.5	0.0	32.5	14.2	0.0	14.2
70921	დაწყებითი ზოგადი განათლება	13.1	32.5	0.0	32.5	14.2	0.0	14.2
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	45.0	41.0	0.0	41.0	27.9	0.0	27.9
710	სოციალური დაცვა	1,192.4	1,107.9	0.0	1,107.9	1,239.5	0.0	1,239.5
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	163.4	171.8	0.0	171.8	195.0	0.0	195.0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	2.0	1.3	0.0	1.3	2.0	0.0	2.0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	386.1	377.1	0.0	377.1	407.5	0.0	407.5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	584.4	513.1	0.0	513.1	582.2	0.0	582.2
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	56.5	44.6	0.0	44.6	52.9	0.0	52.9
	სულ	15,691.6	13,783.2	3,444.4	10,338.9	22,432.1	9,315.2	13,117.0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1362.2 ათასი ლარით.

მუხლი 11. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1813.2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 451.0 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმით სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 90,0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული



მიზნობრივი ტრანსფერი, 160,0 ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) ააიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური 56,0 ათასი ლარი

ბ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 104,0 ათასი ლარი

თავი II

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროექტები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, გათვალისწინებულია წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდება კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ქვეპროგრამები:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (03 01)

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02)

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (03 02)

კეთილმოწყობის სამუშაოები (03 03)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების ბაკურციხე, ჩალაუბანი, ნანიანისა და ჯიმიტის საუბნო გზების მოხრეშვა, სოფ. მუკუზანში სვეტიცხოვლის ეკლესიის მიმდებარედ ა/ბეტონის საფარის დაგება, ქალაქის ცენტრალური და შიდა გზების კოსტავას ქუჩის (სასაფლაოს გზა) რეაბილიტაცია, მაჩაბლის ქუჩის ასფალტირება, კორპუსების ეზოების მოასფალტება. გზების რეაბილიტაციისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა შემდეგი სამუშაოები: სოფ. კარდენახში სასაფლაოს გზის მოასფალტება და ცენტრალური გზიდან საუბნო გზებზე ჩასასვლელელებში ბეტონის საფარის მოწყობა, სოფ. ბაკურციხეში შიდა გზის მოასფალტება (სამადაან უბანი), სოფ. ვეჯინში ჰესის უბნის გზის მოასფალტება, სოფ. ჩუმლაყში „კომკის“ სასაფლაოს გზის რეაბილიტაცია, სოფ. ახაშენში სკოლისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, სოფ. ველისციხეში შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, სოფ. მუკუზანში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სოფ. ზეგანში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სოფ. ძირკოკში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია, სოფ. გურჯაანში სკოლის ქაზე გზის რეაბილიტაცია, სოფ. ჭანდარში შიდა საუბნო გზის („უროიანის გზა“) რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში ვაჟა-ფშაველას ქუჩის (ქვაფენილის ზემოთ) მოასფალტება, ქ. გურჯაანში მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტება, ქ. გურჯაანში შარტავას ქუჩის მოასფალტება, ქ. გურჯაანში ფარნავაზის ქუჩის რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში ბელიაშვილის ქუჩის და ბელიაშვილის ჩიხის რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში კოსტავას შესახვევის რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში მაჩაბლის ქუჩის რეაბილიტაცია, ქ. გურჯაანში წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია, სოფ. ნანიანისა და არაშენდის დამაკავშირებელი გზისა და ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა სოფ. ჭერემში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაო.



მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სოფლის მოსახლეობისთვის საუბნო გზების გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მეტი მოწესრიგებული სოფლის საუბნო გზები
- ასფალტირებული ქუჩების რაოდენობა
- კმაყოფილი მოსახლეობა

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია 03 02

ბ.ა) წყლის სისტემების რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია. (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია, სოფ. ველისციხეში და კარდენახში არსებული ჭაბურღილების გაწმენდა-რეაბილიტაცია, რეზერვუარების მოწყობა და წყალმომარაგებით უზრუნველყოფა; რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა შემდეგი სამუშაოები: ს. ველისციხეში ორი ახალი ჭაბურღილის მოწყობა, სოფ. გურჯაანში „ქვემო წითელ უბანში“ ჭაბურღილის მოწყობა, სოფ. კოლაგში ახალი ჭაბურღილის მოწყობა, სოფ. ჩუმლაყში სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია, სოფ. კაჭრეთში, სოფ. ნანიანში და სოფ. ვეჯინში ახალი ჭაბურღილების და წყალმომარაგების ქსელის მოწყობა, სოფ. ჩუმლაყში, ჭანდარში, კარდენახში, შაშიანში, ვაზისუბანში ახალი ჭაბურღილების მოწყობა, სოფ. კაჭრეთში არსებული ჭაბურღილის რეზერვუარის მოწყობა, სოფ. ჩუმლაყში სათავედან მომავალი წყალმომარაგების მაგისტრალის რეაბილიტაცია. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა სოფ. არაშენდამში ჭაბურთილის მოწყობის სამუშაო.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- მოსახლეობისთვის ეკოლოგიურად სუფთა წყლის მიწოდება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მეტი სოფლის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა

ბ.ბ) ააიპ „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“ (პროგრამული კოდი 03 02 02 02)

ქვეპროექტის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლის მომარაგების რეგულირება;
- მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით შექმნილი შეფერხებების მაქსიმალურად მოკლე ვადაში აღმოფხვრა და დაზიანებების შემცირების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- წყალმომარაგების შეფერხების შემცირება

სანიაღვრე-საკანალიზაციო ქსელის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტში კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი



სარეკონსტრუქციო, პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე-ნაგებობების წესრიგში მოყვანა, ასევე საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა ქალაქ გურჯაანში ფურცელაძის ჩიხში არსებული სანიაღვრე-საკანალიზაციო კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაო.

მოსალოდნელი შედეგი

- სანიაღვრე ქსელის გამართული ფუნქციონირება, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა;
- ქუჩებში დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ტრანსპორტის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- გაწმენდილი და გასუფთავებული სანიაღვრე მილების, კოლექტორების და წვიმიძღები ჭების რაოდენობა.

ბ.გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა; ქალაქად და სოფლებში: ვაჩნაძიანი-25ც, კალაური- 150ც, ველისციხე-50ც, ჩუმლაყი -100ც, სოფ. გურჯაანი-50ც, ძირკოკი-25ც, ვეჯინი-8ც, კოლაგი-50ც, ბაკურციხე-40ც, ჩალაუბანი-3ც, მელაანი- 30ც და კაჭრეთი-100ცალი ახალი სანათების მოწყობა, მომსახურების ხარისხის ამაღლება, მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულების დაფარვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- მოვლილი და მოწესრიგებული გარე განათების ქსელი

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- განათებული ქალაქისა და სოფლის ქუჩების ზრდა.
- მაქსიმალურად განათებული ქალაქისა და სოფლის ცენტრალური ქუჩები და განათების ინტენსივობა.
- არსებული ქსელის შენარჩუნება

გარემოს დაცვითი ღონისძიებები 03 02 04

ბ.დ) დასუფთავების ღონისძიებების მომსახურება (პროგრამული კოდი 03 02 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიიდან ყოველდღიურად და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან კვირაში ორჯერ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები, ბაღები და მოედნები. თვეში ორჯერ დასუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური მაგისტრალის (55კმ) მიმდებარე ტერიტორია და მოხდება ქალაქ გურჯაანში ნონეშვილისა და წმ.ნინოს ქუჩების გადარეცხვა.

მოსალოდნელი შედეგი

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული წესრიგის შენარჩუნება;
- ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება;
- ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- გატანილი ნარჩენების რაოდენობა;
- დასუფთავებული ტერიტორიის ფართობი.



ბ.ე) ააიპ „ნიადაგის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების წესების დაცვაზე ზედამხედველობის სამსახური“ (პროგრამული კოდი 03 02 04 03) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნიადაგისა და წყლის საანალიზო სინჯების აღება, არსებული სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლი;

შუალედური შედეგი

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.
- ნიადაგისა და წყლის საანალიზო სინჯების აღების ინტენსივობა

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჯანმრთელი და არაინფიცირებული მოსახლეობის რაოდენობა.

ბ.ვ) საკანალიზაციო სისტემების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04 04) ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული საკანალიზაციო და სანიაღვრე არხების და ახლის მოწყობა-რეაბილიტაცია,

შუალედური შედეგი

- სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება

ბ.ზ) ხევების რეაბილიტაციისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევების პრევენციული გაწმენდა-რეაბილიტაცია

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- საცხოვრებელი სახლების, სასოფლო - სამეურნეო სავარგულებისა და სოფლის გზების დატბორვის საშიშროების აღმოფხვრა;
- სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ხევებზე წყალგამტარიანობის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, გაწმენდილი ხევების რაოდენობის ზრდა.

გ.თ) თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აუქციონზე გასაყიდად გასატანი მიწებისა და ძირითადი ქონების შეფასება, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების მომზადება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ადგილობრივი შემოსავლების გაზრდა;
- შეფასებული ქონება;
- პასპორტირებული მიწების რაოდენობა

ბ.ლ) სკვერებისა და მინი სპორტული მოედნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და გამწვანება (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება მუნიციპალიტეტის გარე იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. განხორციელდება ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა, ხეების მოჭრა-გადაბილვა, სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია; ასევე



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა სოფ. კარდენახში, სოფ. მუკუზანში, სოფ. ჩუმლაყში, სოფ. ვაზისუბანში და ქ. გურჯაანში (კალოსუბანი) მინი სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები.

მოსალოდნელი შედეგი

- მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული და ახლად შექმნილი სარეკრეაციო ზონების რაოდენობა

ბ.კ) უპატრონო ძაღლების თავშესაფრის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამხარეო უპატრონო ძაღლების თავშესაფრის მშენებლობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- დაავადებული ძაღლებიდან ინფექციების გავრცელების აღმოფხვრა;
- ქუჩებში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 37 სკოლამდელი -სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სწავლობს 2348 აღსაზრდელი. გათვალისწინებულია დღეში ორჯერადი კვება, თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯი დღეში 1,10 ლარი.

მოსალოდნელი შედეგი

- გაუმჯობესებული და უსაფრთხო სააღმზრდელო გარემო;
- გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა;
- ბაგა-ბაღებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჭარბი რაოდენობის განტვირთვა;
- ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და დასაქმების ხელშეწყობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ბაგა-ბაღებში აღსაზრდელებისა და ჯგუფების რაოდენობის ზრდა;
- ბავშვისთვის დამატებითი თავისუფალი ადგილის შექმნა;

ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრის“ დაფინანსება, ბავშვთა პიროვნული განვითარებისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებისა და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებები.

მოსალოდნელი შედეგი

- შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება;
- გაიზრდება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა და მათი საზოგადოებაში ჩართულობის ხარისხი;



- მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის განათლების ხელმისაწვდომობა.

შედეგის შეფასების ინდიკატორები

- დაინტერესებულ მოზარდთა რაოდენობა.
- განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა.

გ) წარჩინებულ პირველკურსელთა და მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 04 06)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება პირველკურსელ, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სკოლადამთავრებული სტუდენტთა წახალისება, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე მიიღეს უმაღლესი ქულა

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოსწავლეთა საგანმანათლებლო ღონის ამაღლება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- შეფასების მაჩვენებლის ზრდა

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტული და კულტურული ობიექტების, სახელოვნებო სკოლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების ასევე სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა
- ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ახალგაზრდობის ჩართულობა; ჩასატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და მათი ჩატარების ორგანიზება, სპატრავიადები მოსწავლეთა შორის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- სპორტული ღონისძიებისა და სრულყოფილი სასპორტო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;
- ახალგაზრდობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართულ მოზარდთა რაოდენობის ზრდა;
- ჩატარებულ ღონისძიებების რაოდენობა.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 01)



ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „გურჯაანის სპორტული გაერთიანების“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2018 წლის განმავლობაში დაფინანსდება ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), კრივის, რაგბის, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრემბურთის და კარატეს შემსწავლელი წრეები. ჩატარდება კომპლექსური სპარტაკიადები.

სპორტულ სკოლებში სულ დასაქმებულია 46 მწვრთნელი, რომელიც ემსახურება 675 ბავშვის აღზრდას.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული ღონისძიებები: ტურნირი მკლავჭიდში, რეგიონალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის, გურჯაანის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ჭადრაკში, მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქუჩის კალათბურთში, მუნიციპალიტეტის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის, წყალბურთი, ალ. ნატროშვილის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის თასის გათამაშება ფრენბურთში ტერიტორიულ ერთეულებს შორის, გურჯაანქალაქობისადმი მიძღვნილი ტურნირი სპორტული ღონისძიებები (მკლავჭიდი, ჭადრაკი, ქართული ჭიდაობა), ქ. გურჯაანის ღია პირველობა კრივში, ტრადიციული ტურნირი ძიუდოში კადეტთა შორის. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, წლის განმავლობაში მოსწავლეთა სპარტაკიადები სპორტის სახეობებში.

აღნიშნული ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- სპორტულ ცხოვრებაში ბავშვებისა და მოზარდების აქტიური ჩაბმა;
- ახალგაზრდობის ფიზიკურად გაჯანსაღება

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა;
- სპორტულ ტურნირებში პრიზიორების რაოდენობის ზრდა

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 02)

